საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01- 08/40

12 სექტემბერი, 2014 წ. **ქ. ბათუმი**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სტიპენდიის დაწესების თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოველი ფაკულტეტის ერთი სტუდენტისათვის დაწესდეს რექტორის, ალიოშა ბაკურიძის სახელობის სტიპენდია 125 ლარის ოდენობით.
2. სტიპენდიის დანიშვნის შესახებ ბრძანება გამოიცეს სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ათი დღისა და გაიცეს ყოველთვიურად, შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებიდან 12 თვის განმავლობაში, ბსუ-ში რექტორის ხელფასიდან სტუდენტის ანგარიშზე ჩარიცხვის სახით.
3. სტიპენდიის დანიშვნა განხორციელდეს ფაკულტეტებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ან/და სოციალურად დაუცველი ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებზე, რექტორის გადაწყვეტილების შესაბამისად.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე, ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს 2014 წლის 15 სექტემბრიდან.

რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**